საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული
დავების განხილვის საბჭო

სტატისტიკური ანგარიში

დავების განხილვის საბჭოს აპარატი

2016

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების ამსახველ დოკუმენტს.

საერთო მაჩვენებლები

2016 წლის განმავლობაში საბჭოში წარმოდგენილია 1755 საჩივარი.



საანგარიშო პერიოდში გაიმართა დავების განხილვის საბჭოს 51 სხდომა.



საბჭოს სხდომებზე განხილულია 1615 საჩივარი

დინამიკა წლების მიხედვით



გადაწყვეტილება მიღებულია 1389 საქმეზე.

დინამიკა წლების მიხედვით



სადავო თანხამ შეადგინა 638 მილიონი ლარი.



გადაწყვეტილებები:

მიღებული გადაწყვეტილებებით სრულად და ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 433 საჩივარი, 640 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 316 საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო.





მომჩივნები

1615 საჩივრიდან უმეტესი ნაწილი წარმოდგენილი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების და ფიზიკური პირების (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეების) მიერ:



დავის საგნები

საბჭოს მიერ განხილულ საჩივრებში ჭარბობდა შემდეგი დავის საგნები:

1. საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება;
2. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები;
3. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობის გამო გამოსაქვითი ხარჯის შემცირება;
4. ანგარიშვალდებულ პირზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების დაბეგვრა;
5. შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვება;
6. უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების გამოვლენის შედეგად განხორციელებული დარიცხვის მართლზომიერება
7. სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება
8. საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით განსაზღვრა.
9. სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები
10. ამხანაგობაში მომსახურების შეტანის გრძელვადიანი კონტრაქტის შესაბამისად მომსახურების მიწოდებად განხილვა
11. მიწის და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების რეალიზაციის დღგ-ით დაბეგვრა
12. სალაროს ნაშთის ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულ უპროცენტო სესხად, ხოლო სარგებლის თანხის აღნიშნული პირის მიერ ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად მიჩნევა
13. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის განსაზღვრის გამო გამო განხორციელებული დარიცხვა
14. არარეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრა
15. არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურების უკუდაბეგვრის დღგ-ით დაბეგვრა
16. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგები